კონკურსი „ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“

სააპლიკაციო ფორმა

"მომავლის ფერმერი" (FOF), რომელიც 2007 წელს შეიქმნა ხელს უწყობს ფერმერებს, მეწარმეებს, დარგის სპეციალისტებსა და სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებასა და თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბებაში. ორგანიზაციის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განვითარების ხელშეწყობა; ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა; ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაზე, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინფორმაციაზე უწყვეტი ხელმისაწვდომობისა და კლიმატური ცვლილებების პირობებში მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

FOF აქტიურად ატარებს კონკურსებს აგროთემატიკაზე, რომლის სამიზნე ჯგუფია სკოლის მოსწავლეები.

კონკურსის „ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“ მიზანია ახალგაზრდებში აგრარული პროფესიების პოპულარიზაცია, უნარებისა და კომპეტინციების გაუმჯობესება, აჭარაში დარგების გაახალგაზრდავება, აგრარული ტექნოლოგიების იმპლემენტაცია, აგრარული ექსტენციის მიწოდებაში კვლევის კომპონენტის შეტანა/გაძლიერება; აგრარული ექსტენციის საუნივერსიტეტო მოდელის მდგრადი განვითარება.

კონკურსი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების, ექსტენციონისტების და პედაგოგების ერთობლივ მუშაობას, რომლის ფარგლებშიც უნდა გამოვლინდეს 3 საუკეთესო გუნდური პროექტი, დაფუძნებული თანამედროვე ტექნოლოგიებს და მორგებული საბაზრო პრინციპებს.

პროექტის ბიუჯეტი 2 000 აშშ დოლარი.

კონკურსი დაყოფილია ორ ეტაპად: იდეების მიღება და პროექტის წარდგენა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებს. მუნიციპალიტეტი შეზღუდული არ არის.

იდეა უნდა მოიცავდეს: შინაარსს, მის უპირატესობას და უნიკალურობას, ინოვაციურობას, მდგრადობის ინდიკატორებს, იდეის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსს და აქტივს, ადამიანურ რესურსს, მოთხოვნილ საგრანტო თანხას, იდეის განხორციელების ვადებს, იდეის განხორციელებაში ჩართულ პირებს, მათ ფუნქცია-მოვალეობებს.

განმცხადებლის სახელი და გვარი	
მუნიციპალიტეტი, სკოლა	
სამუშაო ჯგუფში შემავალ წევრთა რაოდენობა	
ჯგუფის ლიდერი (სახელი, გვარი, პოზიცია)	
#1 საკონტაქტო ინფორმაცია: მობილური ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა	
#2 საკონტაქტო ინფორმაცია: მობილური ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა	

1. იდეა (მოკლე აღწერა, ერთი გვერდი 12-იანი შრიფტით):

2. მიზანი:

3. მოსალოდნელი შედეგები:

4. მოთხოვნილი ბიუჯეტი:

	საქმიანობის დასახელება	**განრიგი**	**ბიუჯეტი** **აშშ დოლარში**
1			
2			

***

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა, ჩამოტვირთეთ აღნიშნული ფაილი - სააპლიკაციო ფორმა, შეავსეთ და გამოაგზავნეთ ელფოსტაზე: info@fof.edu.ge 5 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.